სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

32587961633112

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N120966780

რეგისტრაციის თარიღი

11.09.2012 წ

ნოტარიუსი: მანანა ჭიჭინაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ო.ხიზანიშვილის ქუჩა # 15
ტელეფონი: 2689886

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თორმეტი წლის თერთმეტ სექტემბერს, მე, ნოტარიუსს მანანა ჭიჭინაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში – მისამართზე: ქ. თბილისში, ო. ხიზანიშვილის ქუჩა №15, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ***ბორის კუკავამ***, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არის შპს **„ლეგი"**-ს დირექტორი, ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირთა რეესტრიდან განაცხადის ნომერი: 479979 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B12057685, ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/04/2012 საიდენტიფიკაციო კოდი: 212152980 იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბაგრატიონის ქ. №5 კორ. ბ. №34) სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბორის კუკავამ** (დაბადებული 24.11.1942წ. ზუგდიდი, პირადი №01024006172, მის: ზუგდიდი, ს. დიდინეძი, მისი განცხადებით ფაქტ. მცხ. ქ. თბილისი, გლდანი 6 მ/რ, ტიულენევის ქ. 11) მომმართა.

მე დავადგინე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა მანანა ჭიჭინაძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. საკუთრების მიმნდობს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. **ბორის კუკავამ** წაიკითხა მინდობილობა და დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თორმეტი წლის თერთმეტ სექტემბერს, **ბორის კუკავამ** პ/№01024006172, როგორც შ.პ.ს. **„ლეგი"-ს** (ს/კ 212152980) - **დირექტორი,** რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი", ამ მინდობილობით -

ლევან კუკავას (დაბ. 16.11.1977წ. სოხუმში, პირადი №01007002524, მცხ. ქ. თბილისი, ვ. ბაგრატიონის I ბლოკი, კ. 5, ბ. 35), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი",

მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

ლევან კუკავა უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი, როგორც შპს **„ლეგი"-ს დირექტორის** ინტერესები სს **„საქართველოს ბანკში"** და მის ნებისმიერ სერვის ცენტრებში, რათა აწარმოოს ყოველგვარი საბანკო ოპერაციები სავალუტო და სალარე ანგარიშებზე **შპს „ლეგი"-ს დირექტორის** სახელით, განკარგოს საზოგადოების სახელზე არსებული თანხები, შეიტანოს, გამოიტანოს, გადარიცხოს თანხები. მოახდინოს თანხის კონვერტაცია; შეასრულოს ნებისმიერი საბანკო ოპერაციები; წარადგინოს და ხელზე მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი; მიიღოს ამონაწერი, ინფორმაცია ანგარიშზე არსებული თანხების ბრუნვის, ნაშთების ოდენობის შესახებ; ისარგებლოს საწარმოს დოკუმენტაციით და საწარმოს ბეჭდით. საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი **შპს „ლეგი"-ს დირექტორის** სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის ფორმალობა და მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესასრულებლად.

მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება;

მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით და ძალაშია 11.09.2017 წ. ჩათვლით.

ეს მინდობილობა შედგენილია 3 /სამ/ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს მანანა ჭიჭინაძის სანოტარო არქივში, ხოლო ორი ეგზემპლიარი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია საზღაური: თანახმად, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. დადგენილება №507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები", მუხლი 31; პ.7 - 10.00 ლარი და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 39–ე მუხლის პირველი პუნქტისა 2.00 ლარი, სულ 12.00 ლარი.

შ.პ.ს. „ ლეგი"-ს დირექტორი

ბორის კუკავა

ნოტარიუსი მანანა ჭიჭინაძე